დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლიკა გიორგაძე

წევრები:
ნატო ჯაში - შაინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ეკატერინე გავაშელიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნინელი ცერცვაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
მაკა ინაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237102087

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი
იურიდიული მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი
ფაქტობრივი მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი
საფოსტო ინდექსი	3526
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dzimiti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577948051

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 23 0000888876
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24-25 აგვისტო, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლებლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი
	ზოგადი განათლებლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი
	ზოგადი განათლებლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ვიზიტი ზოგადსგანმანათლებლო დაწესებულებაში წარიმართა კონსტრუქციულ, თანამშრომოლობაზე ორიენტირებულ გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას, თანმიმდევრულად მოხდა სტანდარტებით განსაზღვრული საკითხების შესწავლა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა
გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N.1.2.1 (2)	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლამ უნდა შეიმუშაოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
ინდიკატორი N.1.2.1 (3)	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლამ უნდა შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი N.1.2.1 (4)	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სკოლამ უნდა განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2 (3)	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	დასაქმებულ პერსონალს სკოლამ უნდა მოსთხოვოს „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობების წარმოდგენა (იმ თანამშრომლებს, რომლებიც სამუშაოზე აყვანილები არიან შესაბამისი კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ).

ინდიკატორი N3.2.1 (1)	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.	სკოლამ უნდა შეიმუშაოს ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმი.
3.4.1. (1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უნდა უზრუნველყოს: დასკვნების მოპოვება შენობა-ნაგებობების (ორივე ფართზე) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; ორივე შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების წარმოდგენა; უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებასთან საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბანი); ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამართვა სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბნის ფართი); სამედიცინო კაბინეტის მოწყობა შესაბამისი აღჭურვილობით (სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბანი); ექიმის/ექთნის აყვანა სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბანი).
3.4.1. (2)	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.	სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბანი) სკოლამ უნდა განსაზღვროს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.
3.5.1 (3)	სკოლის ინფრასტრუქტურა	დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს

	ქმნის სწავლისინკლუზიურ გარემოს	სკოლის ძირითადი შენობის მეორე სართულზე ასასვლელად ეტლით მოსარგებლე პირების საჭიროებების გათვალისწინებით პანდუსის/ლიფტის მოწყობა.
3.6.3. (1)	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება.
3.6.3 (4)	სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის ქართულ ენაზე გავრცელება.
3.6.3. (5)	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციასსკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის	სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე შემდეგი ინფორმაციის/ დოკუმენტაციის საჯაროდ განთავსება: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,

	სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ი აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებისშედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 4.1.1. (3)	მოსწავლესთან, მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის	სკოლამ მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან უნდა გააფორმოს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის

	შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	შესახებ ხელშეკრულებები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სასურველია, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდებოდეს შუალედურად, განხორციელების პროცესშიც და არა მხოლოდ შესაბამისი გეგმიური ვადის გასვლის შემდეგ.
ინდიკატორი N3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება	სასურველია, სკოლამ განსაზღვროს მექანიზმი, რომლის

	გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.	შესაბამისადაც განხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის განვითარება, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.
3.2.1.3	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს მექანიზმი, რომლითაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებული პერსონალის კარიერულ ზრდას.
3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს პროცესების გზამკვლევი/აღმწერი დოკუმენტი, რომელსაც დაეყრდნობიან თანამშრომლები მუშაობის პროცესში.
3.4.1. (1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია, სკოლამ შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
3.6.3 (2)	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.	სასურველია, სკოლამ განსაზღვროს სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, მისი ვალდებულება უზრუნველყოს მხოლოდ უტყუარი და სანდო ინფორმაციის გავრცელება.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N 4.1.2 (1)	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სასურველია, შიდასასკოლო მექანიზმების (მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და ა.შ.) მარეგულირებელ წესებში დაწესებულებამ აქცენტი გააკეთოს უშუალოდ სკოლაში მიმდინარე პროცესებსა და პასუხისმგებელ პირებზე.

სტანდარტი N2	სასკოლოკურიკულუმი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლ პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგია იძლევასასკოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალის ინებისშესაძლებლობას;	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი დრაფტ-ვერსია საერთო სასკოლო დოკუმენტად ჩამოაყალიბოს და კათედრების დონეზე საფუძვლიანად განიხილოს. ამ სახით სკოლა უფრო ნათლად გამოკვეთს საერთო სასკოლო ხედვას, თუ როგორ მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას; ასევე, ყველა საფეხურის დონეზე განსაზღვროს თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ამ პროცესებში.
ინდიკატორი 2.1.2.1	კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგ მისსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორ იენტირებისმოთხოვნებს	სახელმწიფო ენა- სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაგეგმოს რემედიაციულ სწავლება, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს. მათემატიკა-სასურველია, რომ სამიზნე ცნების ქვეცნებების დასაზუსტებლად გამოიყენონ ცნებათა იერარქიის დოკუმენტი.

ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგ გმითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარი მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);	სახელმწიფო ენა- სასურველია 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე როგორც დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კათედრამ გაწეროს გრძელვადიანი მიზნები და იზრუნოს შესაბამისი თემატური მატრიცების დამუშავებაზე. ასევე საბაზო საფეხურზე სასურველია გაითვალისწინოს როგორც სამიზნე ცნებების, ისე სავალდებულო თემატური ბლოკებისა და ნაწარმოებების საკითხი მათემატიკა-სასურველია პედაგოგებმა საკითხები დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით.
2.2.2.3.	სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდა რტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნე ბს.	მათემატიკა-სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას თემის ფარგლებში , შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები.

სტანდარტი N2	სასკოლოკურიკულუმი საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასა კოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებები შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინ ბისშესაძლებლობას;	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი დრაფტ-ვერსია საერთო სასკოლო დოკუმენტად ჩამოაყალიბოს და კათედრების დონეზე საფუძვლიანად განიხილოს. ამ სახით სკოლა უფრო ნათლად გამოკვეთს საერთო სასკოლო ხედვას, თუ როგორ მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას; ასევე, ყველა საფეხურის დონეზე განსაზღვროს თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ამ პროცესებში.
ინდიკატორი 2.1.2.1	.კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმი სსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორიენტ ირებისმოთხოვნებს	სახელმწიფო ენა- სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაგეგმოს რემედიაციულ სწავლება, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა

		უზრუნველყოს. მათემატიკა-სასურველია, რომ სამიზნე ცნების ქვეცნებების დასაზუსტებლად გამოიყენონ ცნებათა იერარქიის დოკუმენტი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგეგ ითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარ მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);	სახელმწიფო ენა- სასურველია 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე როგორც დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კათედრამ გაწეროს გრძელვადიანი მიზნები და იზრუნოს შესაბამისი თემატური მატრიცების დამუშავებაზე. ასევე საბაზო საფეხურზე სასურველია გაითვალისწინოს როგორც სამიზნე ცნებების, ისე სავალდებულო თემატური ბლოკებისა და ნაწარმოებების საკითხი მათემატიკა-სასურველია პედაგოგებმა საკითხები დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით.
2.2.2.3.	.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტ ებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.	მათემატიკა-სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას თემის ფარგლებში , შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები.

სტანდარტი N2	სასკოლოკურიკულუმი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასა კოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებებ შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინ ბისშესაძლებლობას;	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი დრაფტ-ვერსია საერთო სასკოლო დოკუმენტად ჩამოაყალიბოს და კათედრების დონეზე საფუძვლიანად განიხილოს. ამ სახით სკოლა უფრო ნათლად გამოკვეთს საერთო სასკოლო ხედვას, თუ როგორ მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა

		და პრიორიტეტების გათვალისწინებას; ასევე, ყველა საფეხურის დონეზე განსაზღვროს თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ამ პროცესებში.
ინდიკატორი 2.1.2.1	2.1.2.კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმისსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორიენტირებისმოთხოვნებს	სახელმწიფო ენა- სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაგეგმოს რემედიაციულ სწავლება, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს. მათემატიკა-სასურველია, რომ სამიზნე ცნების ქვეცნებების დასაზუსტებლად გამოიყენონ ცნებათა იერარქიის დოკუმენტი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგეგ ითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარ მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);	სახელმწიფო ენა-2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე როგორც დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კათედრამ გაწეროს გრძელვადიანი მიზნები და იზრუნოს შესაბამისი თემატური მატრიცების დამუშავებაზე. საბაზოსაფეხურზე გასათვალისწინებელია როგორც სამიზნე ცნებების, ისე სავალდებულო თემატური ბლოკებისა და ნაწარმოებების საკითხი მათემატიკა- საკითხები უნდა დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით.პედაგოგებმა.
2.2.2.3.	.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.	მათემატიკა-სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნას თემის ფარგლებში , შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლაში ვიზიტის განხორციელების პერიოდში დაწესებულებას დამტკიცებული არ ჰქონდა სკოლის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაბამისობის გეგმა რეალისტურია, შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი;

სკოლაში ვიზიტის განხორციელების პერიოდში დაწესებულებას დამტკიცებული არ ჰქონდა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც სკოლას დაგეგმილი აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაბამისობის გეგმა რეალისტურია, შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი;

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვიზიტის ფარგლებში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, სკოლის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის შემუშავება, სტანდარტის ინდიკატორების მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისად, ვადების გათვალისწინებით, სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლაში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათი ნაწილის პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და დადგინდა ხარვეზი, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და შესაბამისობის გეგმის მიხედვით, გეგმავს პერსონალს მოსთხოვოს შესაბამისი ცნობების წარმოდგენა. გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით დაწესებულება სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რის გამოც დადგინდა ხარვეზი. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაითვალისწინა აღინიშნული მექანიზმის შე უშავება. დაგეგმარების ვადების გათვალისწინებით, სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ვიზიტის ფარგლებში სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული: დასკვნები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (ან შესაბამისი მიწერილობა), შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, ასევე, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან არ ჰქონდა საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებული სკოლის მეორე ფართის (კოხის უბანი) მიზნებისთვის. ასევე, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა არ იყო გამართული სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბნის ფართი); იმავე ფართზე არ ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილობით და სკოლას ასევე არ ჰყავდა სამედიცინო პერსონალი. შესაბამისობის გეგმით დაწესებულება საკუთარ თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით, რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმაც და დაგეგმარების ვადების გათვალისწინებით დაწესებულება შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბანი) სკოლას განსაზღვრული არ ჰყავდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რაც ასევე გაიზიარა დაწესებულებამ და გაითვალისწინა შესაბამისობის გეგმით, რის გამოც სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლის ძირითად ფართზე ეტლით მოსარგებლე პირებს არ აქვთ ლიფტით ან პანდუსით მოხვედრის საშუალება. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული აქვს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა მომდევნო 12 თვის მანძილზე. დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ვიზიტის ფარგლებში სკოლას არ ჰქონდა მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა სტანდარტის ინდიკატორების მოთხოვნების შესაბამისად კონკრეტული ინფორმაცია ქართულ ენაზე. დაწესებულება გეგმავს ვებგვერდის გამართვას და ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისობის გეგმის რეალისტურობის გათვალისწინებით დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორებთან (3.6.3 (1, 4, 5) მიმართებით შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ვიზიტის ფარგლებში სკოლაში გაფორმებული არ იყო ხელშეკრულებები მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან. დაწესებულება მიმდინარე წელს გეგმავს ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებას, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისიაა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის პოზიტიური, განმავითარებელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს თითოეული მათგანისთვის წარმატების თანაბარ შანსს. დაწესებულების ხედვაა, იყოს ხარისხზე ორიენტირებული, ეროვნულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე დაყრდნობილი სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულება, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეებს მისცემს საფუძვლიან ზოგად განათლებას, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის უნარს, გახდის კონკურენტუნარიანს, აუმაღლებს სამოქალაქო ცნობიერებას, აღზრდის თითოეულ მათგანს ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად.

სკოლის მისიის განაცხადი და ხედვა შესაბამოსობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ამასთან, დაწესებულება გეგმავს, მისიის და ხედვის რევიზიას, რათა მასში უკეთ გამოიკვეთოს სკოლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

2. სკოლის მისია და ხედვა უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაზე აკეთებს აქცენტს. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე. დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს, დოკუმენტირებული არ არის იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისათვის მოქმედი სტანდარტი აღნიშნულზე არ აკეთებდა აქცენტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება გეგმავს მოახდინოს მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზია, რის შემდეგაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებთან და თემის საჭიროებებთან შესაბამისობა. პროცესი იგეგმება სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელშიც უნდა ჩაერთოს მოსწავლე, მშობელი, საკოლის პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები თემიდან. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება არსებული პრაქტიკით ხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, როდესაც დამრიგებლები საინფორმაციო-საორგანიზაციო შეხვედრას ახორციელებენ მოსწავლეთა მშობლებთან, ასევე მისია და ხედვა განთავსებულია ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება გეგმავს მისიისა და ხედვის რევიზიას სასკოლო საზოგადოების წევრების და თემის წევრების ჩართულობით. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია და ხედვა განთავსებულია სკოლის ფოიეში, რითაც უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა. მომავალში, დაწესებულება გეგმავს მის განთავსებას ვებგვერდზეც, ასევე, სხვა საშუალებების გამოყენებას (სოციალური ქსელი, Teams პლატფორმით მშობლებისათვის გაცნობა და ა.შ.) მისი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების“ შესახებ დადგენილ ნორმებს. საჯარო სკოლის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
დირექტორის ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას უზრუნველყოფს დროებითი სამუშაო ერთეული - სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. ჯგუფი პასუხისმგებელია სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვაზე. დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: მასწავლებლები და მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ასევე, სასურველია ჯგუფში მოწვეულ იქნენ გარე დაინტერესებული მხარეთა წარმომადგენლებიც. დაგეგმვის ჯგუფი პასუხისმგებელია დაინტერესებული პირების გამოკითხვაზე (ფოკუსჯგუფი და სხვა), რომლის მეშვეობითაც უნდა დაზუსტდეს მოლოდინები სკოლის მიმართ. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ვიზიტის განხორციელების პერიოდში დაწესებულებას დამტკიცებული არ ჰქონდა სკოლის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაბამისობის გეგმა რეალისტურია, შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. სკოლაში ვიზიტის განხორციელების პერიოდში დაწესებულებას დამტკიცებული არ ჰქონდა სკოლის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაბამისობის გეგმა რეალისტურია, შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. სკოლაში ვიზიტის განხორციელების პერიოდში დაწესებულებას დამტკიცებული არ ჰქონდა სკოლის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაბამისობის გეგმა რეალისტურია, შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.
დირექტორის ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი ჯგუფის შექმნის შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა (ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება არაგეგმიური მონიტორინგიც) სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის გეგმიური მონიტორინგი განახორციელოს შუალედურადაც და არა მხოლოდ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ.

2. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების მექანიზმს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დოკუმენტი ახალი შემუშავებულია (განახლებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით), გასული წლების მანძილზე მონიტორინგის და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია ბუნებრივად ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი პირველი ავტორიზაციის პროცესში ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

3. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროვების მექანიზმს, დოკუმენტის შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს სკოლის ვებგვერდზე, თითოეული აქტივობის სტატუსის მითითებით. სტანდარტის ინდიკატორი პირველი ავტორიზაციის პროცესში ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

4. სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნეს სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით. დოკუმენტის მიხედვით, წლის ბოლოს გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სტანდარტის ინდიკატორი პირველი ავტორიზაციის პროცესში ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი, რომელიც თითოეული თანამდებობისათვის/სტრუქტურული ერთეულისთვის ადგენს ფუნქცია-მოვალეობებს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულების/თანამშრომლების ფუნქციები გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, თითოეულ შემთხვევაში სამუშაო მოვალეობებში გამოკვეთილია სამუშაოს სპეციფიკა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №2-51 „სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პერსონალის მართვის პროცესებს დაწესებულებაში არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა (რომლის შესაბამისადაც გაფორმებულია ხელშეკრულებები), სკოლის შინაგანაწესი, სკოლის პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების დოკუმენტი, პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები (რომელიც ასევე ასახავს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს). აღნიშნული დოკუმენტი ახალი დამტკიცებულია და მასში ასახული მიდგომები ჯერ პრაქტიკაში ბუნებრივია, არ არის გამოყენებული, შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა იკვეთება შინაგანაწესიდან, თანამშრომელთა სოციალიზაციის პროცედურებიდან, ხარისხის ჯგუფის დეუბლებიდან, ადამიანებისა და პროცედურების უსაფრთხოების დოკუმენტიდან, ასევე, ამავე მიზანს ემსახურება სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. დაწესებულებას შინაგანაწესით დარეგულირებული აქვს თანამშრომლების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხის განხილვის პროცედურას და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, მასწავლებლების შერჩევის პროცესში გამოიყენება „მასწავლებლების საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესი“. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს თითოეული თანამშრომლისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (როგორც მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში), სკოლის პერსონალთან გაფორმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, პირად საქმეებში წარმოდგენილია ცნობები „ნასამართლობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“. ამასთან, არ არის ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ რის გამოც სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად და დადგინდა ხარვეზი, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და შესაბამისობის გეგმის მიხედვით, გეგმავს პერსონალს მოსთხოვოს შესაბამისი ცნობების წარმოდგენა. გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით დაწესებულება სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - სკოლის პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა, ღირებულებები, სკოლის შიდა რეგულაციები, რომელიც სწორებას აკეთებს გუნდურ მუშაობაზე, სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები, კოლეგიური ორგანოს სხდომის ოქმები მოწმობს ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას სკოლაში. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას განსაზღვრული აქვს წახალისების ფორმები დადებითი, წარმატებული გამოცდილების შემთხვევაში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ კონკრეტული მაგალითების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა არ მომხდარა და სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
სკოლის შინაგანაწესი;
სკოლის პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენას უზრუნველყოფს ხარისხის ჯგუფი, რომელიც საქმიანობს საკუთარი დებულების საფუძველზე. ამასთან, სკოლას ვიზიტის დროისათვის შემუშავებული არ ჰქონდა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი, რის გამოც დადგინდა ხარვეზი. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაითვალისწინა აღინიშნული მექანიზმის შემუშავება. დაგეგმარების ვადების გათვალისწინებით, სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლის მასწავლებლების საქმიანობის შეფასების შემდეგ, ხარისხის ჯგუფის დებულების შესაბამისად ხორციელდება პროფესიული განვითარების დაგეგმვა, რაც პასუხობს გამოვლენილ საჭიროებებს. ამასთან, ასეთი მექანიზმი შემუშავებული არ არის ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში და სკოლას მიეცა რჩევა, ასევე შეიმუშაოს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის წარმომადგენლების განმარტების მიხედვით, სკოლა აფასებს სკოლის პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს და კვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. სკოლის მასწავლებლების სამუშაოს შეფასებას უზრუნველყოფს ხარისხის ჯგუფი. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, შესაბამისი მექანიზმი დოკუმენტისსახით სკოლას ჯერ შემუშავებული არ აქვს და სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ასეთი მექანიზმი. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას შემუშავებული აქვს ახლად დაქირავებული თანამშრომლის ორგანიზაციასა და მისი გარემოში სოციალიზაციის პროცედურები, რომელიც მოიაზრებს მის გარკვევას სამუშაო პროცესში, სკოლის მხრიდან განსახორციელებელ აქტივობებს და უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის გაცნობას სხვა თანამშრომლებისათვის, მის გარკვევას მის პირად ფუნქცია-მოვალეობებში, სკოლის შინაგანაწესის და სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ სხვა რეგულაციებში გარკვევას და მთლიანობაში, ხელშეწყობას სამუშაო გარემოში ეფექტურად ინტეგრიერებასა და სოციალიზაციაში. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას შინაგანაწესით განსაღვრული აქვს პერსონალის წახალისების ფორმები. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პერსონალის განვითარებასთან დაკავშრებული ინიციატივების წახალისებას მოწმობს სკოლაში განხორციელებული პროექტები. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები;
სკოლის ხარისხის ჯგუფის დებულება;
ხარისხის ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა
3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფა, დოკუმენტის შესაბამისად, დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე, ითვალისწინებს დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და განვითარების წესს. სკოლის ყველა თანმაშრომელი ვალდებულია, პროცესების მიმდინარეობისას დაეყრდნოს პროცესების აღმწერ დოკუმენტს. ამასთან, ასეთი დოკუმენტები სკოლას ჯერ შემუშავებული არ აქვს და მიეცა რჩევა, შეიმუშაოს პროცესების გზამკლვევი/აღმწერი დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. თითეული მათგანი აღწერილია ნაწილობრივ ამავე დოკუმენტში, ნაწილობრივ კი სხვა მარეგულირებელ წესებსა და დოკუმენტებში (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, პერსონალის მართვის წესი, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის წესები და ა.შ.). ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის შინაგანაწესით დეტალურად არის განსაზღვრული სკოლის პერსონალის მიერ დისცპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხის განხილვის წესი, ასევე, უზრუნველყოფილია დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას, განსაზღვრავს სპეციალური კომისიის შექმნის წესს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრების მათი უფლებების შესახებ ინფორმირების მექანიზმებს, განსაზღვრულია სკოლის პერსონალის ვალდებულებები, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს სასკოლო საზოგადოების წევრების კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დაცვა. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე, საჩივრის განხილვის წესი, რომელის გამოყენებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დარღვევის შემთხვევაში საკითხის განხილვა და გადაწყვეტა. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
მოსწავლეთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის უფლებების დაცვის მექანიზმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც ადეკვატურად განსაზღვრავს საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციის მიზანს და საშუალებებს, უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაციის გავრცელების არხებს. ასევე გათვალისწინებულია უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყო სასკოლო ცხოვრებაში. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექზნისმები, დოკუმენტის სახით, რომელიც აღწერს ამ მიზნით სკოლაში არსებულ რესურსებს და ხელმისაწვდომ სერვისებს. სკოლის ძირითად შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტს, სკოლას ჰყავს ამავე ბრძანებით განსაზღვრული აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე ერთი ექიმი და უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლას აქვს საევაკუაციო გეგმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; სკოლაში მოქმედი წესები (აკრძალული ნივთების ჩამონათვალი, სკოლაშიუცხო პირთა შემოსვლის შეზღუდვა და ა.შ.), უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას. ასევე, სკოლას აქვს შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლის ძირითადი შენობისათვის.
ვიზიტის ფარგლებში სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული: დასკვნები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (ან შესაბამისი მიწერილობა), შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, ასევე, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან არ ჰქონდა საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებული სკოლის მეორე ფართის (კოხის უბანი) მიზნებისთვის. ასევე, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა არ იყო გამართული სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბნის ფართი); იმავე ფართზე არ ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილობით და სკოლას ასევე არ ჰყავდა სამედიცინო პერსონალი. შესაბამისობის გეგმით დაწესებულება საკუთარ თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით, რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმაც, რეალისტურად მიიჩნია დაწესებულების მიერ ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული კონკრეტული ვადები და დაწესებულება შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი. ამასთან, სკოლას, დამატებით, მიეცა რჩევა, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც ახორციელებს მინისტრის ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ფუნქციებს. სკოლას განსაზღვრული ყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ამავე ბრძანების შესაბამისად, სკოლის ძირითადი შენობისათვის. სკოლის მეორე ფართზე (კოხის უბანი) სკოლას განსაზღვრული არ ჰყავდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რის გამოც დადგინდა ხარვეზი. ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია გაიზიარა დაწესებულებამ და გაითვალისწინა შესაბამისობის გეგმით, რის გამოც სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად

შესაბამისი.

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო სკოლაში უზრუნველყოფილია დამრიგებლების მუშაობით, სკოლაში ასევე მოქმედებს რეფერირების წესი, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის ჩართვას (ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში). სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებსაც. განსაზღვრულია სკოლაში ყოველდღიურად, ყოველკვირეულად და ყოველთვიურად, გენერალურად დასუფთავების ნორმები. სკოლას ყავს შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლო შემთხვევებს და წესს, რომელიც შეესაბამება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონს. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია მონაცემთა სუბიექტის უფლებები, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი და თანამშრომელთა ვალდებულებები, რაც ემსახურება კანონმდებლობასთან შესაბამისობას. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;
სკოლის საგანგებო მართვის გეგმა;
სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საავტორიზაციო განაცხადში ასახული სკოლის ძირითადი შენობა ორსართულიანია. ფართი ახლადრეაბილიტირებულია. სველი წერტილები განთავსებულია ორივე სართულზე. სკოლაში, გარდა საკლასო ოთახებისა, მოწყობილია ბიბლიოთეკა, სორტული დარბაზი, სამუშაო სივრცეები დირექციისა და მასწავლებლებისათვის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. სკოლას ასევე აქვს მინი სააქტო დარბაზი, რესურს-ოთახი. ყველა საკლასო ოთახი სკოლაში აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარსამართად აუცილებელი ინვენტარით: მერხები და სკამები, სასკოლო დაფები. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს სახელმძღვანელოებს და კლასგარეშე ლიტერატურას. ამასთან, სკოლის ძირითადი შენობის გარდა, იმავე სოფელში, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესი სხვა შენობაშიც. შენობა მდებარეობს სოფელ ძიმითში, ე.წ. კოხის უბანში, განთავსებულია **1154.00** კვ. მ. მიწის ფართობზე, ერთსართულიანი შენობის საერთო ფართია 59,96 კვ.მ. უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით ეკუთვნის სკოლას. შენობა კეთილმოწყობილია და ადაპტირებულია სსსმ პირთათვის. ფართზე ხორციელდება მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. ინფრასტრუქტურის დასაცავად სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმები, მორიგეობა, ვიდეო თვალი, კლასის სადამრიგებლო საათი, დარაჯი და სახვა სტრუქტურული ერთეულებში გადანაწილებული ფუნქცია, მეტ-ნაკლებად იცავს როგორც ინფრასტრუქტურას, ასევე მატერიალურ რესურსებსაც. სასკოლო მერხები და სკამები განლაგებულია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სკოლაში ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა ყველასთვის ხელმისაწვდომია. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს ინფრასტრტუქტურით (მათ შორის, სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სპორტული დარბაზით და ა.შ.) სარგებლობის წესს. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ძირითად შენობაში ადაპტირებულია მხოლოდ პირველი სართული, რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. შენობაში შესვლა შესაძლებელია პანდუსით. პირველ სართულზე განთავსებულია რამდენიმე საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. აღსანიშნავია, რომ პოტენციურ ეტლით მოსარგებლე პირებს არ აქვთ შენობის სხვა სივრცეებზე წვდომის შესაძლებლობა (სკოლის ადმინისტრაციის სამუშაო სივრცე, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი). სკოლის მეორე შენობის ფართი (კოხის უბანი) ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე პირებისათვის. დასკვნის პროექტის წარმოდგენის ეტაპზე სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული აქვს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა მომდევნო 12 თვის მანძილზე. დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. სკოლის ეზო, შენობა და ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, სკოლას ჰქონდეს სოციო-კულტურული სივრცის დატვირთვა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას ბალანსზე აქვს კურიკულუმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები, სასკოლო მერხები და სკამები, დაფები, კომპიუტერები და სხვა ინვენტარი და საშულებები, სპორტული მოედანი და ბიბლიოთეკა, რაც ემსახურება კურიკულუმის განხორციელებას. სკოლას ასევე აქვს დახურული სპორტული დარბაზი. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
ამონაწერი უძრავი ქონების რეესტრიდან;
საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი;
ვიზუალური დათვალიერება;
სკოლის ინვენტარიზაციის აქტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები გამოიყენება ადმინისტრაციის საქმიანობაში და სასწავლო პროცესში. მოსწავლეების და პერსონალის რაოდენობის და კომპიუტერების რაოდენობის თანაფარდობების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს, მათ შორის, სკოლის ინფორმაციული ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესებს და უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის მისი ხელმისაწვდომობა. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ინვენტარიზაციის აქტი;

სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტაციის ორგანიზაციის, აღრიცხვიანობის, წარმოების საკითხებს. დოკუმენტბრუნვა ნაწილობრივ მატერიალურად წარმოებს, სკოლაში ინახება შესაბამისი საქმისწარმოების ჟურნალები. ინსტრუქცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში დანერგილია eflow - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სკოლის მართვის პროცესში ასევე გამოიყენება Eschool სისტემა, როგორც ყველა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შემთხვევაში. პერსონალი მუშაობის პროცესში იყენებს თანამედროვე საოფისე პროგრამებს. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის ფარგლებში შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა ბაზაში ასახული მონაცემები და ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად ხორციელდება შემოსულ კორესპოდენციებზე დროული უკუგება და ანგარიშგება. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია;

ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემის მონაცემები;.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow).

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ გეგმავს სკოლა საზოგადოების ინფორმირებას ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ამასთან, სკოლას საკუთარი ვებგვერდი ჯერ არ აქვს, რის გამოც სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმაც და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლაში დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). პირველადი ავტორიზაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ სანდრო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, განსაზღვროს სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ვალდებულება აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

3. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესში გამოკვეთილია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების მიზანი, რაც ცხადყოფს დაწესებულების მზაობას, იმუშაოს ამ მიმართულებით. სტანდარტის ინდიკატორი

ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

4. სკოლას არ აქვს ვებგვერდი, შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმაც და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

5. საზოგადოებასთაბ ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს, სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსების საკითხებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას არ აქვს ვებგვერდი, შესაბამისად, მასზე არ არის განსათავსებელი შემდეგი ინფორმაციის ჩამონათვალი: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში ასევე გაითვალისწინოს ვებგვერდზე განსათავსებელი დოკუმენტების ჩამონათვალი.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, სკოლა მიმდინარე წელს გეგმავს ვებგვერდის გამართვას და მასზე რელევანტური ინფორმაციის განთავსებას, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმაც და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას ჯერ არ აქვს სამოქმედო გეგმა, რის გამოც ინდიკატორთან მიმართებით სკოლის რესურსი ვერ შეფასდა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

2. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, დაფინანსების დინამიკის და წლიური ანგარიშგების დოკუმენტის გამოთხოვა და გადამოწმება არ მომხდარა. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ბიუჯეტი;
სკოლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიებისუზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულიასასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სპეციალური წესი, რომელის განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლება-მოვალეობებს. უზრუნველყოფილია თანამშრომელთა მიერ საკუთარი ვალდებულებების განხორციელება, უზრუნველყოფილია მოსწავლეებისათვის სასკოლო რეგულაციების/წესების გაცნობა. ამავე მიზანს ემსახურება ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო რეგულაციების გამჭვრივალობაზე მეტყველებს სკოლის ფოიეში გამოკრული შინაგანაწესი. ასევე, ვიზიტის დროს დამტკიცდა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რაც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას. დაწესებულება გეგმავს აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, მათ შორის, განათავსოს ვებგვერდზეც. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, იგეგმება ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმება. ვიზიტის ფარგლებში სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, დაწესებულება მიმდინარე წელს გეგმავს ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებას, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა სკოლა სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით, საბოლოოდ, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგაწესი;

სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი;

სკოლის ვიზუალური დათვალიერება;

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

შეფასება:

იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.

იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით შესაბამისი საკითხების მარეგულირებელი წესები. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ რეგულაციაში ასახოს აღნიშნული პროცესების მიმდინარეობისას უშუალოდ სკოლაში

გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელი თანამშრომლები.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დოკუმენტაციის პროცედურის შესწავლა და ემისის ბაზის შემოწმება ამ მიზნით არ მომხდარა, ამასთან, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალა.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი - სკოლის სერვისების შესახებ ასახულია ხელშეკრულებაში, რომელსაც ეცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულების გაფორმებამდე. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ყველა დაინტერესებულ მშობელს აქვს შესაძლებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე სკოლის ადმინისტრაციასთან დააზუსტოს ყველა საკითხი. სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლაში სწავლის პირობების შესახებ, სკოლის პროგრამის, სკოლაში განხორციელებული აქტივობების/პროექტების შესახებ ინფორმაცია ასევე ასახულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში არ არის კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის გამოქვეყნების წესებს. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც გამჭვირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი, განახლებული და არადისკრიმინაციული. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;

სკოლის საინფორმაციო დაფის ვიზუალური დათვალიერება;

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერასკანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფსდამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების და ინდივიდუალური ხელშეწყობს აუცილებლობას. განსაზღვრულია დეზადაპტაციის გამოვლენის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები, ასევე, მოსწავლის წარმატებული ადაპტაციის საკითხები, რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისათვის. გამოკვეთილად არის რეგულირებული პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის საკითხები. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს პირველკლასელთა ტრანზიიციის ხელშემწყობ პირთა ფუნქციები და ტრანზიციის მექანიზმის სახით, მოსწავლის ოჯახიდან ინფორმციის შეგროვების და გამოყენების წესი. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლის კონსულტაცია და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით, მასწავლებლების ფუნქციებით. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული

უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა და სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას - ადმინისატრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში დამატებითი არაფორმალური აქტივობების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის აქტივობას. აღნიშნულს ადასტურებს მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელებული პროექტები. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა და სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო პროგრამები;
სკოლის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
მოსწავლეთა მონაწილეობით სკოლაში განხორციელებული პროექტები;
მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადიგანათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასებისშედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, შესაბამისი დოკუმენტაცია სკოლას ჯერ არ აქვს;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვა არ მომხდარა.
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შნიშვნა: ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა მკიცებულებების გზამკვლევით, რომელიც სკოლას ავტორიზაციის პირველად გავლისპროცესში არ ავალდებულებს, ჰქონდეს მტკიცებულებები ზემოთ მოცემული ინდიკატორის მიზნებისთვის.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს - სკოლას აქვს მზაობა და ახორციელებს ინკლუზიურ განათლებას. მას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი - რესურს ოთახი და ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას ჰყავს 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
ისგ ჯგუფის ოქმები;
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის რეგულაციები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების

შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.
2. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.
3. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი **2**	ექსპერტთაჯგუფისშეფასება (მონიშნეთშესაბამისიუჯრასტანდარტისადაკომპონენტისშესაბამისად)
სასკოლოკურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმისშემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმისგანხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება

II. ავტორიზაციისმე-2 სტანდარტთან შესაბამისობისშეფასება

2.სასკოლოკურიკულუმი
2.1. კურიკულუმისშემუშავება
2.1.1. კურიკულუმისშემუშავებაშიჩართულიასასკოლოსაზოგადოება

1. კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასასკოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინებისშესაძლებლობას;
2. კურიკულუმშიასახულიასასკოლოსაზოგადოებისინტერესები;
3. კურიკულუმიშემუშავებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ;
4. კურიკულუმიგაზიარებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1 . სკოლამ სასკოლო დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა კურიკულუმისშ ემუშავებისმეთოდოლოგია (დრაფტ-ვერსია) აღნიშნული დოკუმენტის სათანადო გახილვა კათედრის დონეზე ჯერჯერობით არ მომხდარა. ამ სახის ინფორმაცია იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. სკოლა აფიქსირებს, რომ კურიკულუმისშემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა.სასკოლოკურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. ასევე, პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ აწარმოებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შედარებით დაბალია. იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას. სკოლა მზადააგააგრძელოს მუშაობას, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახითმონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება

სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესები და საკითხთა სპექტრი, რომელზეც სასკოლო საზოგადოებამ შეიძლება იმსჯელოს; ასევე გამოკვეთილია მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის და მითითებულია, პრაქტიკული თვალსაზრისით თუ სად და როგორ უნდა აისახოს დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები / გაკეთებული დასკვნები. შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. როგორც აღნიშნეს, სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს

2.კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კერძოდ კათედრის სხდომებზე გაანალიზებული სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და ურთიერთდასწრებების საფუძველზე სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებით.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და უშუალო შეხვედრებიდან ჩანს, რომ სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ასახული იქნება ჩარჩოში სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ძირითადად მოხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში და საჭიროების დროს ცვლილება განხორციელდება სასწავლო წლის ნებისმიერ საჭირო დროს.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს
3. სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ამდენად, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აგრეთვე, სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით კათედრაზე იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. კურიკულუმში აღწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, უზიარებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება სრულად.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს
4.ინტერვიუს ფორმატში გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ/საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. კერძოდ, ისინი ინფორმირებულნი არიან, მიეწოდებათ უკუკავშირი და გამოკვეთილია თითოეულის პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო

საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. მასწავლებლები შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, თუ რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე, აწვდიან დაინტერესებულ მშობლებს. აღიარებენ რომ ყველა მშობელის დაინტერესება ამ კუთხით, ჯერჯერობით ვერ შეძლეს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. გასაუბრებისას დაწყებითის კლასებში დადასტურდა აღნიშნული.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-2023 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების მატრიცა

2.1.2. კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმისსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორიენტირებისმოთხოვნებს

1. შემუშავებულიკურიკულუმი/ებიწარმოადგენსმოსწავლეზეორიენტირებულიპროცესისდაგეგმვისადაგანვითარებისგზას;
2. კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგეგმითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);
3. სასწავლოპროცესიითვალისწინებსდიფერენცირებულ/ინკლუზიურმიდგომებს;
4. განმსაზღვრელიდაგანმავითარებელიშეფასებამიემართებაგრძელვადიანმიზნებსადამეთოდიკურორიენტირებს;
5. დაგეგმვისპროცესშიგათვალისწინებულიაწინარეგამოცდილებისანალიზი.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათელია, რომ იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტის არსი. იციან, თუ რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის მნიშვნელობა და კურიკულუმის შემუშავების პრინციპი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები შეარჩიეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მომავალი წლისთვის ძირითადად ის კომპლექსური დავალებები შეარჩიეს, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა . შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ კიდევ გადახედავენ და დახვეწავენ წარმოდგენილ კურიკულუმებს . შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის მისაღები არის საგნობრივი კურიკულუმის ასეთი სახით წარმოდგენა. ჩარჩოში ნათლად ჩანს სამიზნე თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება და რესურსები.ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.მასწავლებლები გეგმავენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების კურიკულუმში ასახვას და ახლის დამატებას კომპლექსური დავალებების ბანკიდან.
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2.წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელსესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3.პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლას ჰყავს სსსიმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ძირითადად, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ ინდ.გეგმით. ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს რესურსოთახი, კომპიუტერების კლასი. სკოლას აქვს თანამედროვე ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორია . საგნების მიხედვით ცალკ-ცალკეა განლაგებული ყველა რესურსი. ტექნიკური საშუალებები და

დანარჩენი ხელსაწყოები ისეა განთავსებული, რომ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მათი გამოყენებისა. ლაბორატორიის ოთახში შესაძლებლობა არის(პედაგოგებმა გასაუბრების დროსაც აღნიშნეს) ჩაატარონ ცდები, დაკვირვებები, გამოიყენონ სადემონსტრაციო მაგიდა, ლაბორატორიული მაგიდები და ტექნიკური საშუალებები . ქიმიური ნივთიერებები ცალკეა განთავსებული. დაცულია უსაფრთხოების ნორმები. კედელზე გაკრულია ლაბორატორიაში მუშაობისა და ქცევის წესები. დამონტაჟებულია ხელსაბანი და გამწოვი სისტემა. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცდილობენ ერთმანეთთან შეთანხმებულად დაგეგმონ და არსებული რესურსებიც მიზნობრივად გამოიყენონ სასწავლო პროცესში. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4. როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. 1-4 კლასებში ხდება განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლას არჩეული აქვს პირველი მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . ერთ-ერთმა მასწავლებელმა წარმოადგნა უკვე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. აღნიშნეს, რომ დაეხმარებიან ერთმანეთს და ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს . განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

5.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს. დასტურდება
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო პროექტები
- სკოლის მასწავლებლთ აპორტფოლიო;
- ინდ. გეგმის ნიმუში
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილადშეესაბამება
☐ ნაწილობრივშეესაბამება
☐ არშეესაბამება

2.2 კურიკულუმისგანხორციელება

2.2.1. სასწავლოპროცესიეფუძნებასწავლასწავლებისკონსტრუქტივისტულპრინციპებს

1. სასწავლოპროცესიიძლევამოსწავლისაქტიურშემოქმედებითპროცესშიჩართულობისშესაძლებლობას;
2. ახალიცოდნისკონსტრუირებახორციელდებაწინარეცოდნაზედაფუძნებით;
3. სასწავლოპროცესშიაქცენტიკეთდებასწავლისსწავლაზე;
4. სასწავლოპროცესიორიენტირებულიაცოდნისსამკატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურულიდაპირობისეული);
5. სასწავლოპროცესშიუზრუნველყოფილიამოსწავლეთაცოდნათაორგანიზებადაურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სკოლის მასწავლებლების მიერ შექნილი კურიკულუმის განხორციელება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მიერ. მასწავლებლემბა აღნიშნეს, რომ გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით, შესაბამისად წინასწარ შერჩეულ დავალების პირობას აცნობენ მოსწავლეებს მათთვის ინტერესის გამომწვევ კონტექსტმაგალითზე დაფუძნებით, ეცნობიან ახალ ინფორმაციას, თითოეული მოსწავლე ამუშავებს მას , თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აქტივობას და საბოლოოდ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ამ პერიოდში შექმნა მოსწავლემ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ადევნებენ თვალს, გზადაგზა უხსნიან, აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დაფარულია ყველა სამიზნე ცნება-I-VI კლასებში სარეკომენდაციო თემების შიგნით, მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. ახალი ცოდნის გადასაცემა მასწავლებელი მუშაობს იმისათვის რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა მიღწევიდ დონეს აჩვენებენ იმისთვის შედეგი იყოს უფრო უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა არნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.

იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტ მაგალითების/მაგალითები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მასწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ სქემას. პრაქტიკული სავარჯიშოები შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც მოქმედებების განხორციელების საშუალებას იძლევა. პროცედურული ცოდნა უპასუხებს შეკითხვას: როგორ განვახორციელო? დინამიკური ხასიათისაა და მოქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს ტრანსფერს ცხოვრებაში. სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც, რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას. ცოდნათა სამ კატეგორიის მნიშვნელობაზე სკოლამ ისაუბრა შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ ისინი შემაჯამებელ ტესტს აგებენ ისე რომ მოხდეს ფაქტობრივი ცოდნის გახსენება რაც ძირითადად ტერმინოლოგიის გახსენებას, ინფორმაციის მიზნობრივ დასახელებას გულისხმობს ასევე ფორმულის ჩაწერა, წესის გახსენება, ხოლო პროცედურული ცოდნისათვის მის გამოყენებაზე გააკეთეს ყურადღება მაგ; როგორ ახდენს მოსწავლე გამოსახულების გამარტივებას, რა კანონზომიერებებს ამჩნევს საკითხებს შორის, ამის შემდგომ მოხდეს საკითხის ტრანსფერის უნარით სხვადასხვა სამეცნიერო დარგში გამოყენების უნარების განვითარება. ამ პროცესებში ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესები რომელიც წარიმართება ცოდნათა სამი კატეგორიის გააქტიურების ხარჯზე.სასწავლო პროცესისათვის დაგეგმილი კურიკულუმები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (პროცედურულ,პირობისეულ და დეკლარატიული)წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომსასწავლო პროცესი ააქტიურებს სამივე სახის ცოდნას.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. არმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. , რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად,

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; (დრაფტ-ვერსია)
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- დაწყებითი კლასების (ოთხწლედის) ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გემის ნიმუში
- პროექტები

2.2.2.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.

1. სასწავლოპროცესიუზრუნველყოფსსამიზნეცნებისდამისიმკვიდრიწარმოდგენებისგათავისებასსაგნობრივსაკითხებზედაყრდნობით;
2. საგნობრივიკონტექსტებიემსახურებამოსწავლისპიროვნულდაფსიქო-სოციალურგანვითარებას;
3. შეფასებისსისტემაორიენტირებულიამოსწავლისჰოლისტურიგანვითარებისმხარდაჭერაზე;
4. შეფასებისსისტემაარისვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაშიფუნქციონირებისშეფასებისსისტემისვერიფიკაციისმექანიზმი;
6. სკოლაუზრუნველყოფსშეფასებასთანდაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებისსათანადოაღრიცხვასადაშენახვასარანაკლებ 3 წლისვადით.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1..კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე ის კომპლექსური დავალებები, რომელიც განხორციელებული აქვთ თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად და რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს. მომავალში გეგმავენ კიდევ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი, რომლებშიც მოსწავლეთა საჭიროებებიც იქნება გათვალისწინებული.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრებზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3.სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს პირველი მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გამზადებული აქვთ რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა . აღნიშნეს , რომ გეგმავენ კვლავ შექმნან რუბრიკები მომავალი წლისთვის. ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. გამოცდილება აქვთ სოლო ტაქსონომიის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების მიცემისა. აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოახერხონ მოსწავლის პიროვნული განვითარება. დაწყებითი კლასების მათემატიკის მასალებში(I-IVკლასები)წარმოდგენილი არის განმავითარებელი შეფასებისთვის სოლო ტაქსონომია და შეფასების სხვადასხვა ზოგადი რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

რჩევის სახით მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს , რომ კარგი იქნება თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს შექმნიან თემის ფარგლებში , შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები., სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4.ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, მოსწავლის წინსვლის საშუალება სძირითადად ხდება განმავითარებელიშეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.იყენებენ სხვადასხვა ჯგუფებს მოსწავლეებისათვის დავალებების გასაგზავნად, შესაფასებლად, უკუკავშირების გასაგზავნად, მშობელთა კრებების ჩასატარებლად ან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფების გამოყენებით ხდება მშობლის უკუკავშირის (მოსწავლეზე გაცემული განმავითარებელი შეფასების შესახებ) კითხვარებით გაზიარება, რაც აადვილებს ინფორმაციის შეგროვებას და შემდგომ დამუშავებას, პირდაპირი კომუნიკაციის არხი მშობელს უძლიერებს ღიაობის და გამჭირვალობის გრძნობას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

5. სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებულიკანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არა ადეკვატურია. გარდა ამისა, დირექცია თვალყურს ადევნებს და საქმის კურსშია კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სტადარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს; ამ ეტაპისთვის დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული.თუმცა სკოლის დირექტორთას გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების სისტემის

ვერიფიკაციის დოკუმენტი და ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
სკოლა გაითვალისწინებს რისკების ალბათობას, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მოახდენს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გარკვეული წინასწარ დადგენილი პროცენტული რაოდენობის მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
ეს გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები განთავსებული აქვთს კოლის OneDrive -ზე, გარკვეული რაოდენობის მატერიალური სახით არის და ოგანიზებული კლასებისა და საგნების მიხედვით. კათედრებზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა. სამომავლოდ გეგმავენ მოხდეს ყველა მასალის, მაგ. პროექტების, მოსწავლეთა პორტფოლიოების დ ასხვა მტკიცებულებების სრულად შენახვა 3 წლის ვადით,დირექტორის ბრძანებით დანიშნული ჯგუფის მიერ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითშეფასების კითხვარი
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-23 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- სასწავლო პროექტები
- ისგ
- სკოლის დაწყებითიკლასისმასწავლებლისსადამრიგებლოპროგრამა
  HGH

2.2.3.სასწავლოპროცესიეფუძნებაზრუნვასადამხარდაჭერას

1. სასწავლოპროცესშიშექმნილიამხარდამჭერიდამიმღებლობითიგარემო;
2. სასწავლოპროცესიწარიმართებამოსწავლეზეორიენტირებულად;
3. სასწავლოპროცესიეფუძნებათანამშრომლობითკულტურასადაკომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილიაპოზიტიურიკლიმატისკოლისადაკლასისდონეზე.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელსაც პედაგოგები შეიმუშავებენ სწავლის დაწყებამდე, ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, მოამზადოს თვალსაჩინო და მოსწავლეებისათვის საინტერესო მასალა და სხვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებლები საუბრობენ, რომ სკოლის თავისებურებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან მსგავს საკითხებს. ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა სასკოლო საზოგადოებაში ურთიერთანამშრომლობით პოზიტიური გარემო შეინარჩუნონ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლოწლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა;
- ისგ-ს დებულება.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილადშეესაბამება
☐ ნაწილობრივშეესაბამება
☐ არშეესაბამება

2.3.კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება

2.3.1 მიმდინარეპროცესებისმონიტორინგიდაშეფასებაწარმოადგენსსასწავლოპროცესისთანმდევგანუყოფელნაწილს

1. მონიტორინგიდაშეფასებახორციელდებაკურიკულუმითგანსაზღვრულიმეთოდოლოგიისშესაბამისად;
2. მონიტორინგიდაშეფასებაემსახურებასასკოლოსაზოგადოებისწევრებისმხარდაჭერასადადახმარებას;
3. მონიტორინგიდაშეფასებაგანსაზღვრავსპრობლემისგადაჭრისგზას/საშუალებას.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის დრაფტ-ვერსია.ასევე, მონიტორინგის განხორციელების ფუმქცია ნაწილდება სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგ სდირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში გამოცდილი პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების ცვლილებას წლის მანძილზე. შესაბამისად ხდება პროფესიული ზრდა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.წარმოდგენილ მასალებში, კათედრის ოქმები, მეთოდოლოგიები და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ქმედება და მზაობა, რომ წარმოშობილი პრობლების მოგვარების გზების ერთობლივად მოძიების, ანალიზის და მისი გადაჭრის გზების ძიების სურვილის და მზადყოფნის. ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების, როგორც მოსწავლეებში ასევე მასწავლებლებში, მისი იდენტიფიცირების შემდეგ, სკოლის ადმინისტრაცია კათედრასთან ერთად ეძიებენ პრობლემის გადაჭრის გზას. გეგმავენ აქტივობებს გამოვლენილი პრობლემის მოგვარებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- ხარისხი განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო მასალები;
- კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლოპროცესისშეფასებაატარებსჰოლისტურხასიათს

1. შეფასებაეყრდნობამრავალფეროვანწყაროებს;
2. შეფასებახორციელდებამრავალიკონტექსტისგათვალისწინებით;
3. შეფასებისასგამოყენებულიამონაცემთაშეგროვებისმრავალფეროვანიმეთოდები;
4. შეფასებახორციელდებასხვადასხვაფაქტორისგათვალისწინებით.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა ფორმებს. მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევებზე დაკვირვება. ინფორმაციას ძირითადად აგროვებს დამრიგებელი, პროექტების ხელმძღვანელები, რაც იძლევა შეფასების საერთო სურათს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს .
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით
მასწავლებლები ცდილობენ განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში ძირითადად აკონტროლებს დამრიგებელი . შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები
მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა ხერხები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
4.შეფასება ხორციელდება მრავალმხრივ . ასევე მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის მოტივაციაზე .

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- საგნობრივი კურიკულუმები,
- სადამრიგებლო გეგმები
- კათედრის ოქმები

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილადშეესაბამება
☐ ნაწილობრივშეესაბამება

☐ არშეესაბამება

2.4კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია
2.4.1 წლიურიმუშაობისშედეგადიქმნებაკურიკულუმისგადამუშავებულივერსია

1. იქმნებაკურიკულუმისგანვითარებისადამხარდაჭერისსარეკომენდაციოსაჭიროებათაპაკეტი;
2. კურიკულუმისგადამუშავებულივერსიაეფუძნებაწინარეგამოცდილებასდაითვალისწინებსმონიტორინგისადაშეფასებისშედეგებს.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაშივკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედოგეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. სკოლა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და ამხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსურ იდავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზემოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინებით. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- დაწყებითისაფეხურისკურიკულუები.
- სასკოლოს ასწავლო პროექტი;
- კომპლექსური დავალებები (მასწავლებელთა პორტფოლიოები)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილადშეესაბამება

☐ ნაწილობრივშეესაბამება

☐ არშეესაბამება

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი **2**	ექსპერტთაჯგუფისშეფასება *(მონიშნეთშესაბამისიუჯრასტანდარტისადაკომპონენტისშესაბამისად)*
სასკოლოკურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმისშემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმისგანხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება

ავტორიზაციისმე-2 სტანდარტთანშესაბამისობისშეფასება

2.სასკოლოკურიკულუმი
2.1. კურიკულუმისშემუშავება
2.1.1. კურიკულუმისშემუშავებაშიჩართულიასასკოლოსაზოგადოება

5. კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასასკოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინებისშესაძლებლობას;
6. კურიკულუმშიასახულიასასკოლოსაზოგადოებისინტერესები;
7. კურიკულუმიშემუშავებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ;
8. კურიკულუმიგაზიარებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1 . სკოლამ სასკოლო დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (დრაფტ-ვერსია) აღნიშნული დოკუმენტის სათანადო გახილვა კათედრის დონეზე ჯერჯერობით არ მომხდარა. ამ სახის ინფორმაცია იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. სკოლა აფიქსირებს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა.სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. ასევე, პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ აწარმოებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შედარებით დაბალია. იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას. სკოლა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესები და საკითხთა სპექტრი, რომელზეც სასკოლო საზოგადოებამ შეიძლება იმსჯელოს; ასევე გამოკვეთილია მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის და მითითებულია, პრაქტიკული თვალსაზრისით თუ სად და როგორ უნდა აისახოს დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები / გაკეთებული დასკვნები. შესაბამისად,

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. როგორც აღნიშნეს, სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს

2.კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კერძოდ კათედრის სხდომებზე გაანალიზებული სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და ურთიერთდასწრებების საფუძველზე სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებით.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და უშუალო შეხვედრებიდან ჩანს, რომ სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ასახული იქნება ჩარჩოში სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ძირითადად მოხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში და საჭიროების დროს ცვლილება განხორციელდება სასწავლო წლის ნებისმიერ საჭირო დროს.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს
3. სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ამდენად, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აგრეთვე, სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით კათედრებზე იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. კურიკულუმში აღწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, უზიარებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება სრულად.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს

4.ინტერვიუს ფორმატში გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ/საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. კერძოდ, ისინი ინფორმირებულნი არიან, მიეწოდებათ უკუკავშირი და გამოკვეთილია თითოეულის პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. მასწავლებლები შედარებით

ამომწურავ ინფორმაციას, თუ რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე, აწვდიან დაინტერესებულ მშობლებს. აღიარებენ რომ ყველა მშობელის დაინტერესება ამ კუთხით, ჯერჯერობით ვერ შეძლეს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით.
მასწავლებლის როლი განსაკუთრებით წამყვანია კურიკულუმის განვითარებაში. მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები და სასწავლო პროცესის ანალიზი არის სწორედ ის , რაც კურიკულუმს განავითარებს. სკოლის მასწავლებლებს აქვთ წინა წლის მანძილზე განხორციელებული კომპლექსური დავალების შედეგად მიღებული პროდუქტები. გამოცდილების შესაბამისად გეგმავენ მომავალ კურიკულუმს. უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს მომავლის გეგმებს. ამის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა, სწავლების რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-2023 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების მატრიცა

2.1.3. კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმისსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორიენტირებისმოთხოვნებს

1. შემუშავებულიკურიკულუმი/ებიწარმოადგენსმოსწავლეზეორიენტირებულიპროცესისდაგეგმვისადაგანვითარებისგზას;
2. კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგეგმითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);
3. სასწავლოპროცესიითვალისწინებსდიფერენცირებულ/ინკლუზიურმიდგომებს;
4. განმსაზღვრელიდაგანმავითარებელიშეფასებამიემართებაგრძელვადიანმიზნებსადამეთოდიკურორიენტირებს;
5. დაგეგმვისპროცესშიგათვალისწინებულიაწინარეგამოცდილებისანალიზი.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათელია, რომ იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტის არსი. იციან, თუ რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის მნიშვნელობა და კურიკულუმის შემუშავების პრინციპი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები შეარჩიეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მომავალი წლისთვის ძირითადად ის კომპლექსური დავალებები შეარჩიეს, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა . შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ კიდევ გადახედავენ და დახვეწავენ წარმოდგენილ კურიკულუმებს . შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის მისაღები არის საგნობრივი კურიკულუმის ასეთი სახით წარმოდგენა. ჩარჩოში ნათლად ჩანს სამიზნე თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება და რესურსები.ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.მასწავლებლები გეგმავენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების კურიკულუმებში ასახვას და ახლის დამატებას კომპლექსური დავალებების ბანკიდან.
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთ უნარებ შორის , როგორიცაა; კრიტიკულიაზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელსუწყობენ მოსწავლეებში 21საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3.პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლას ჰყავს სსსიმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება.

ძირითადად, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ ინდ.გეგმით. ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს რესურსოთახი, კომპიუტერების კლასი. სკოლას აქვს თანამედროვე ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორია . საგნების მიხედვით ცალკ-ცალკეა განლაგებული ყველა რესურსი. ტექნიკური საშუალებები და დანარჩენი ხელსაწყოები ისეა განთავსებული, რომ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მათი გამოყენებისა. ლაბორატორიის ოთახში შესაძლებლობა არის(პედაგოგებმა გასაუბრების დროსაც აღნიშნეს) ჩაატარონ ცდები, დაკვირვებები, გამოიყენონ სადემონსტრაციო მაგიდა, ლაბორატორიული მაგიდები და ტექნიკური საშუალებები . ქიმიური ნივთიერებები ცალკეა განთავსებული. დაცულია უსაფრთხოების ნორმები. კედელზე გაკრულია ლაბორატორიაში მუშაობისა და ქცევის წესები. დამონტაჟებულია ხელსაბანი და გამწოვი სისტემა. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცდილობენ ერთმანეთთან შეთანხმებულად დაგეგმონ და არსებული რესურსებიც მიზნობრივად გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4. როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით.
სკოლას არჩეული აქვს პირველი მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . ერთ-ერთმა მასწავლებელმა წარმოადგნა უკვე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. აღნიშნეს, რომ დაეხმარებიან ერთმანეთს და ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს . განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო პროექტები
- სკოლის მასწავლებლთ აპორტფოლიო;
- ინდ. გეგმის ნიმუში
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილადშეესაბამება
☐ ნაწილობრივშეესაბამება
☐ არშეესაბამება

2.3 კურიკულუმისგანხორციელება

4.2.1. სასწავლოპროცესიეფუძნებასწავლასწავლებისკონსტრუქტივისტულპრინციპებს

1. სასწავლოპროცესიიძლევამოსწავლისაქტიურშემოქმედებითპროცესშიჩართულობისშესაძლებლობას;
2. ახალიცოდნისკონსტრუირებახორციელდებაწინარეცოდნაზედაფუძნებით;
3. სასწავლოპროცესშიაქცენტიკეთდებასწავლისსწავლაზე;
4. სასწავლოპროცესიორიენტირებულიაცოდნისსამკატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურულიდაპირობისეული);
5. სასწავლოპროცესშიუზრუნველყოფილიამოსწავლეთაცოდნათაორგანიზებადაურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სამივე საფეხურზე წარმოდგენილიკურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებელებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზობენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებითპროცესშიჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამგვარად შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, სამივე საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. ახალი ცოდნის გადასაცემა მასწავლებელი მუშაობს იმისათვის რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა მიღწევიდ დონეს აჩვენებენ იმისთვის შედეგი იყოს უფრო უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი

ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.

იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტ მაგალითების/მაგალითები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4. სკოლაში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას.

სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლაში არსებული რესურსებით.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად

არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. , რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად,

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; (დრაფტ-ვერსია)
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- დაწყებითი კლასების (ოთხწლედის) ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გემის ნიმუში
- პროექტები

2.2.2.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.

1. სასწავლოპროცესიუზრუნველყოფსსამიზნეცნებისდამისიმკვიდრიწარმოდგენებისგათავისებასსაგნობრივსაკითხებზედაყრდნობით;
2. საგნობრივიკონტექსტებიემსახურებამოსწავლისპიროვნულდაფსიქო-სოციალურგანვითარებას;
3. შეფასებისსისტემაორიენტირებულიამოსწავლისჰოლისტურიგანვითარებისმხარდაჭერაზე;
4. შეფასებისსისტემაარისვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაშიფუნქციონირებისშეფასებისსისტემისვერიფიკაციისმექანიზმი;
6. სკოლაუზრუნველყოფსშეფასებასთანდაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებისსათანადოაღრიცხვასადაშენახვასარანაკლებ 3 წლისვადით.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1..კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე ის კომპლექსური დავალებები, რომელიც განხორციელებული აქვთ თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად და რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს. მომავალში გეგმავენ კიდევ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი, რომლებშიც მოსწავლეთა საჭიროებებიც იქნება გათვალისწინებული.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრებზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

3.საბაზოსაფეხურის კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრებზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით. სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4. მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ მოსწავლეების ჩართვას შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით კი, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, გეგმავენ რომ მოსწავლეებმა შეაფასონ ერთმანეთი და იმსჯელონ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პორტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი

ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

5. სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებულიკანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არა ადეკვატურია. გარდა ამისა, დირექცია თვალყურს ადევნებს და საქმის კურსშია კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სტადარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს; ამ ეტაპისთვის დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული.თუმცა სკოლის დირექტორთას გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი და ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
სკოლა გაითვალისწინებს რისკების ალბათობას, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მოახდენს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გარკვეული წინასწარ დადგენილი პროცენტული რაოდენობის მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
ეს გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად,3 წლის ვადით,დირექტორის ბრძანებით დანიშნული ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითშეფასების კითხვარი
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-23 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა

- სასწავლო პროექტები
- ისგ
- სკოლის დაწყებითიკლასისმასწავლებლისსადამრიგებლოპროგრამა
  HGH

2.2.3.სასწავლოპროცესიეფუძნებაზრუნვასადამხარდაჭერას

1. სასწავლოპროცესშიშექმნილიამხარდამჭერიდამიმღებლობითიგარემო;
2. სასწავლოპროცესიწარიმართებამოსწავლეზეორიენტირებულად;
3. სასწავლოპროცესიეფუძნებათანამშრომლობითკულტურასადაკომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილიაპოზიტიურიკლიმატისკოლისადაკლასისდონეზე.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელსაც პედაგოგები შეიმუშავებენ სწავლის დაწყებამდე, ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, მოამზადოს თვალსაჩინო და მოსწავლეებისათვის საინტერესო მასალა და სხვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს პოზიტიური კლიმატის ხელშეწყობაზე კლასისა და სკოლის დონეზე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლოწლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა;
- ისგ-ს დებულება.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილადშეესაბამება

☐ ნაწილობრივშეესაბამება

☐ არშეესაბამება

2.3.კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება

2.3.2 მიმდინარეპროცესებისმონიტორინგიდაშეფასებაწარმოადგენსსასწავლოპროცესისთანმდევგანუყოფელნაწილს

1. მონიტორინგიდაშეფასებახორციელდებაკურიკულუმითგანსაზღვრულიმეთოდოლოგიისშესაბამისად;
2. მონიტორინგიდაშეფასებაემსახურებასასკოლოსაზოგადოებისწევრებისმხარდაჭერასადადახმარებას;
3. მონიტორინგიდაშეფასებაგანსაზღვრავსპრობლემისგადაჭრისგზას/საშუალებას.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის დრაფტ-ვერსია.ასევე, მონიტორინგის განხორციელების ფუმქცია ნაწილდება სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგ სდირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში გამოცდილი პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების ცვლილებას წლის მანძილზე. შესაბამისად ხდება პროფესიული ზრდა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.წარმოდგენილ მასალებში, კათედრის ოქმები, მეთოდოლოგიები და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ქმედება და მზაობა, რომ წარმოშობილი პრობლების მოგვარების გზების ერთობლივად მოძიების, ანალიზის და მისი გადაჭრის გზების ძიების სურვილის და მზადყოფნის. ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების, როგორც მოსწავლეებში ასევე მასწავლებლებში, მისი იდენტიფიცირების შემდეგ, სკოლის ადმინისტრაცია კათედრასთან ერთად ეძიებენ პრობლემის გადაჭრის გზას. გეგმავენ აქტივობებს გამოვლენილი პრობლემის მოგვარებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- ხარისხი განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო მასალები;
    - კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლოპროცესისშეფასებაატარებსჰოლისტურხასიათს

5. შეფასებაეყრდნობამრავალფეროვანწყაროებს;
6. შეფასებახორციელდებამრავალიკონტექსტისგათვალისწინებით;
7. შეფასებისასგამოყენებულიამონაცემთაშეგროვებისმრავალფეროვანიმეთოდები;
8. შეფასებახორციელდებასხვადასხვაფაქტორისგათვალისწინებით.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:
1.სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა ფორმებს. მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევებზე დაკვირვება. ინფორმაციას ძირითადად აგროვებს დამრიგებელი, პროექტების ხელმძღვანელები, რაც იძლევა შეფასების საერთო სურათს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით
მასწავლებლები ცდილობენ განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში ძირითადად აკონტროლებს დამრიგებელი .
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები
მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა ხერხები.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას,რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. დასაზუსტებელია განმსაზღვრელი შეფასების პრინციპი.სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციაში იძებნება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი,რაც აზუსტებს შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს,

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- საგნობრივი კურიკულუმები,
- სადამრიგებლო გეგმები
- კათედრის ოქმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილადშეესაბამება

☐ ნაწილობრივშეესაბამება

☐ არშეესაბამება

2.4კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია

2.4.1 წლიურიმუშაობისშედეგადიქმნებაკურიკულუმისგადამუშავებულივერსია

1. იქმნებაკურიკულუმისგანვითარებისადამხარდაჭერისსარეკომენდაციოსაჭიროებათაპაკეტი;
2. კურიკულუმისგადამუშავებულივერსიაეფუძნებაწინარეგამოცდილებასდაითვალისწინებსმონიტორინგისადაშეფასებისშედეგებს.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაშივკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების

თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედოგეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. სკოლა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და ამხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსურ იდავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზემოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინებით. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- კურიკულუმები.
- სასკოლოს ასწავლო პროექტი;
- კომპლექსური დავალებები (მასწავლებელთა პორტფოლიოები)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილადშეესაბამება

☐ ნაწილობრივშეესაბამება

☐ არშეესაბამება

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი **2**	ექსპერტთაჯგუფისშეფასება *(მონიშნეთშესაბამისიუჯრასტანდარტისადაკომპონენტისშესაბამისად)*
სასკოლოკურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმისშემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმისგანხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილადშეესაბამება ☐ ნაწილობრივშეესაბამება ☐ არშეესაბამება

2.სასკოლოკურიკულუმი

2.1. კურიკულუმისშემუშავება

2.1.1. კურიკულუმისშემუშავებაშიჩართულიასასკოლოსაზოგადოება

1. კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასასკოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინებისშესაძლებლობას;
2. კურიკულუმშიასახულიასასკოლოსაზოგადოებისინტერესები;
3. კურიკულუმიშემუშავებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ;
4. კურიკულუმიგაზიარებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1 . სკოლამ სასკოლო დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (დრაფტ-ვერსია) აღნიშნული დოკუმენტის სათანადო გახილვა კათედრის დონეზე ჯერჯერობით არ მომხდარა. ამ სახის ინფორმაცია იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. სკოლა აფიქსირებს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა.სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. ასევე, პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ აწარმოებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შედარებით დაბალია. იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას. სკოლა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესები და საკითხთა სპექტრი, რომელზეც სასკოლო საზოგადოებამ შეიძლება იმსჯელოს; ასევე გამოკვეთილია მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის და მითითებულია, პრაქტიკული თვალსაზრისით თუ სად და როგორ უნდა აისახოს დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები / გაკეთებული დასკვნები. შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. როგორც აღნიშნეს, სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების

გათვალისწინებით.სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი დრაფტ-ვერსია საერთო სასკოლო დოკუმენტად ჩამოაყალიბოს და კათედრების დონეზე საფუძვლიანად განიხილოს. ამ სახით სკოლა
უფრო ნათლად გამოკვეთს საერთო სასკოლო ხედვას, თუ როგორ მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას; ასევე, ყველა საფეხურის დონეზე განსაზღვროს თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ამ პროცესებში.

შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს

2.კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კერძოდ კათედრის სხდომებზე გაანალიზებული სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და ურთიერთდასწრებების საფუძველზე სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებით.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და უშუალო შეხვედრებიდან ჩანს, რომ სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ასახული იქნება ჩარჩოში სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ძირითადად მოხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში და საჭიროების დროს ცვლილება განხორციელდება სასწავლო წლის ნებისმიერ საჭირო დროს.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს
3. სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ამდენად, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აგრეთვე, სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით კათედრებზე იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. კურიკულუმში აღწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, უზიარებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება სრულად.
შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს

4.ინტერვიუს ფორმატში გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ/საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. კერძოდ, ისინი ინფორმირებულნი არიან, მიეწოდებათ უკუკავშირი და გამოკვეთილია თითოეულის პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. მასწავლებლები შედარებით

ამომწურავ ინფორმაციას, თუ რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე, აწვდიან დაინტერესებულ მშობლებს. აღიარებენ რომ ყველა მშობელის დაინტერესება ამ კუთხით, ჯერჯერობით ვერ შეძლეს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით.
მასწავლებლის როლი განსაკუთრებით წამყვანია კურიკულუმის განვითარებაში. მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები და სასწავლო პროცესის ანალიზი არის სწორედ ის , რაც კურიკულუმს განავითარებს. სკოლის მასწავლებლებს აქვთ წინა წლის მანძილზე განხორციელებული კომპლექსური დავალების შედეგად მიღებული პროდუქტები. გამოცდილების შესაბამისად გეგმავენ მომავალ კურიკულუმს. უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს მომავლის გეგმებს. ამის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა, სწავლების რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-2023 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების მატრიცა

2.1.2. კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმისსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორიენტირებისმოთხოვნებს

1. შემუშავებულიკურიკულუმი/ებიწარმოადგენსმოსწავლეზეორიენტირებულიპროცესისდაგეგმვისადაგანვითარებისგზას;
2. კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგეგმითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);
3. სასწავლოპროცესიითვალისწინებსდიფერენცირებულ/ინკლუზიურმიდგომებს;
4. განმსაზღვრელიდაგანმავითარებელიშეფასებამიემართებაგრძელვადიანმიზნებსადამეთოდიკურორიენტირებს;
5. დაგეგმვისპროცესშიგათვალისწინებულიაწინარეგამოცდილებისანალიზი.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათელია, რომ იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტის არსი. იციან, თუ რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის მნიშვნელობა და კურიკულუმის შემუშავების პრინციპი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები შეარჩიეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მომავალი წლისთვის ძირითადად ის კომპლექსური დავალებები შეარჩიეს, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა . შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ კიდევ გადახედავენ და დახვეწავენ წარმოდგენილ კურიკულუმებს . შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის მისაღები არის საგნობრივი კურიკულუმის ასეთი სახით წარმოდგენა. ჩარჩოში ნათლად ჩანს სამიზნე თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება და რესურსები.ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.მასწავლებლები გეგმავენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების კურიკულუმებში ასახვას და ახლის დამატებას კომპლექსური დავალებების ბანკიდან.
სახელმწიფო ენა- სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაგეგმოს რემედიაციულ სწავლება, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს.მათემატიკა-სასურველია, რომ სამიზნე ცნების ქვეცნებების დასაზუსტებლად გამოიყენონ ცნებათა იერარქიის დოკუმენტი.
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთ უნარებ შორის , როგორიცაა; კრიტიკულიაზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელსუწყობენ მოსწავლეებში 21საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.
სახელმწიფო ენა- სასურველია 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე როგორც დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კათედრამ გაწეროს გრძელვადიანი მიზნები და იზრუნოს შესაბამისი თემატური მატრიცების დამუშავებაზე. ასევე საბაზო საფეხურზე სასურველია გაითვალისწინოს როგორც სამიზნე ცნებების, ისე სავალდებულო თემატური ბლოკებისა და ნაწარმოებების საკითხი
მათემატიკა-სასურველია პედაგოგებმა საკითხები დააკლასტერონ სტანდარტის სავალდებულო თემების მიხედვით.
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3.პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლას ჰყავს სსსიმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ძირითადად, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ ინდ.გეგმით. ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს რესურსოთახი, კომპიუტერების კლასი. სკოლას აქვს თანამედროვე ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორია . საგნების მიხედვით ცალკ-ცალკეა განლაგებული ყველა რესურსი. ტექნიკური საშუალებები და დანარჩენი ხელსაწყოები ისეა განთავსებული, რომ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მათი გამოყენებისა. ლაბორატორიის ოთახში შესაძლებლობა არის(პედაგოგებმა გასაუბრების დროსაც აღნიშნეს) ჩაატარონ ცდები, დაკვირვებები, გამოიყენონ სადემონსტრაციო მაგიდა, ლაბორატორიული მაგიდები და ტექნიკური საშუალებები . ქიმიური ნივთიერებები ცალკეა განთავსებული. დაცულია უსაფრთხოების ნორმები. კედელზე გაკრულია ლაბორატორიაში მუშაობისა და ქცევის წესები. დამონტაჟებულია ხელსაბანი და გამწოვი სისტემა. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცდილობენ ერთმანეთთან შეთანხმებულად დაგეგმონ და არსებული რესურსებიც მიზნობრივად გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4. როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით.
სკოლას არჩეული აქვს პირველი მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . ერთ-ერთმა მასწავლებელმა წარმოადგნა უკვე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. აღნიშნეს, რომ დაეხმარებიან ერთმანეთს და ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს . განმავითარებელი შეფასების ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.
შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო პროექტები
- სკოლის მასწავლებლთ აპორტფოლიო;
- ინდ. გეგმის ნიმუში
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილადშეესაბამება
☐ ნაწილობრივშეესაბამება
☐ არშეესაბამება

2.2.კურიკულუმისგანხორციელება

2.2.1.სასწავლოპროცესიეფუძნებასწავლასწავლებისკონსტრუქტივისტულპრინციპებს

1. სასწავლოპროცესიიძლევამოსწავლისაქტიურშემოქმედებითპროცესშიჩართულობისშესაძლებლობას;
2. ახალიცოდნისკონსტრუირებახორციელდებაწინარეცოდნაზედაფუძნებით;
3. სასწავლოპროცესშიაქცენტიკეთდებასწავლისსწავლაზე;

4. სასწავლოპროცესიორიენტირებულიაცოდნისსამკატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურულიდაპირობისეული);
5. სასწავლოპროცესშიუზრუნველყოფილიამოსწავლეთაცოდნათაორგანიზებადაურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სამივე საფეხურზე წარმოდგენილიკურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებელებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზობენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებითპროცესშიჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამგვარად შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, სამივე საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას.

ახალი ცოდნის გადასაცემა მასწავლებელი მუშაობს იმისათვის რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა მიღწევიდ დონეს აჩვენებენ იმისთვის შედეგი იყოს უფრო უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.

იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტ მაგალითების/მაგალითები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში. მათემატიკა-სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას თემის ფარგლებში , შერჩეული კომპლექსური დავალების კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმები.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4. სკოლაში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას.

სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლაში არსებული რესურსებით.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. , რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად,

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიია; (დრაფტ-ვერსია);
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- დაწყებითი კლასების (ოთხწლედის) ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გემის ნიმუში
- პროექტები

2.2.2.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.

1. სასწავლოპროცესიუზრუნველყოფსსამიზნეცნებისდამისიმკვიდრიწარმოდგენებისგათავისებასსაგნობრივსაკითხებზედაყრდნობით;
2. საგნობრივიკონტექსტებიემსახურებამოსწავლისპიროვნულდაფსიქო-სოციალურგანვითარებას;
3. შეფასებისსისტემაორიენტირებულიამოსწავლისჰოლისტურიგანვითარებისმხარდაჭერაზე;
4. შეფასებისსისტემაარისვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაშიფუნქციონირებისშეფასებისსისტემისვერიფიკაციისმექანიზმი;
6. სკოლაუზრუნველყოფსშეფასებასთანდაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებისსათანადოაღრიცხვასადაშენახვასარანაკლებ 3 წლისვადით.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1..კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე ის კომპლექსური დავალებები, რომელიც განხორციელებული აქვთ თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად და რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს. მომავალში გეგმავენ კიდევ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი, რომლებშიც მოსწავლეთა საჭიროებებიც იქნება გათვალისწინებული.

შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრებზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

3. კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრებზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ

დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით. სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4. მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ მოსწავლეების ჩართვას შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით კი, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, გეგმავენ რომ მოსწავლეებმა შეაფასონ ერთმანეთი და იმსჯელონ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პორტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

5. სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებულიკანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არა ადეკვატურია. გარდა ამისა, დირექცია თვალყურს ადევნებს და საქმის კურსშია კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სტადარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს; ამ ეტაპისთვის დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული.თუმცა სკოლის დირექტორთას გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი და ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

სკოლა გაითვალისწინებს რისკების ალბათობას, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მოახდენს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გარკვეული წინასწარ დადგენილი პროცენტული რაოდენობის მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

ეს გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად,3 წლის ვადით,დირექტორის ბრძანებით დანიშნული ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითშეფასების კითხვარი
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-23 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- სასწავლო პროექტები
- ისგ
- სკოლის დაწყებითიკლასისმასწავლებლისსადამრიგებლოპროგრამა HGH

2.2.3.სასწავლოპროცესიეფუძნებაზრუნვასადამხარდაჭერას

1. სასწავლოპროცესშიშექმნილიამხარდამჭერიდამიმღებლობითიგარემო;
2. სასწავლოპროცესიწარიმართებამოსწავლეზეორიენტირებულად;
5. სასწავლოპროცესიეფუძნებათანამშრომლობითკულტურასადაკომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილიაპოზიტიურიკლიმატისკოლისადაკლასისდონეზე.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელსაც პედაგოგები შეიმუშავებენ სწავლის დაწყებამდე, ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, მოამზადოს თვალსაჩინო და მოსწავლეებისათვის საინტერესო მასალა და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს პოზიტიური კლიმატის ხელშეწყობაზე კლასისა და სკოლის დონეზე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლოწლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა;
- ისგ-ს დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილადშეესაბამება
☐ ნაწილობრივშეესაბამება
☐ არშეესაბამება

2.3.კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება

2.3.3 მიმდინარეპროცესებისმონიტორინგიდაშეფასებაწარმოადგენსსასწავლოპროცესისთანმდევგანუყოფელნაწილს

4. მონიტორინგიდაშეფასებახორციელდებაკურიკულუმითგანსაზღვრულიმეთოდოლოგიისშესაბამისად;
5. მონიტორინგიდაშეფასებაემსახურებასასკოლოსაზოგადოებისწევრებისმხარდაჭერასადადახმარებას;
6. მონიტორინგიდაშეფასებაგანსაზღვრავსპრობლემისგადაჭრისგზას/საშუალებას.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის დრაფტ-ვერსია.ასევე, მონიტორინგის განხორციელების ფუმქცია ნაწილდება სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგ სდირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში გამოცდილი პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების ცვლილებას წლის მანძილზე. შესაბამისად ხდება პროფესიული ზრდა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.წარმოდგენილ მასალებში, კათედრის ოქმები, მეთოდოლოგიები და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ქმედება და მზაობა, რომ წარმოშობილი პრობლების მოგვარების გზების ერთობლივად მოძიების, ანალიზის და მისი გადაჭრის გზების ძიების სურვილის და მზადყოფნის. ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების, როგორც მოსწავლეებში ასევე მასწავლებლებში, მისი იდენტიფიცირების შემდეგ, სკოლის ადმინისტრაცია კათედრასთან ერთად ეძიებენ პრობლემის გადაჭრის გზას. გეგმავენ აქტივობებს გამოვლენილი პრობლემის მოგვარებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- ხარისხი განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო მასალები;
- კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლოპროცესისშეფასებაატარებსჰოლისტურხასიათს

1. შეფასებაეყრდნობამრავალფეროვანწყაროებს;
2. შეფასებახორციელდებამრავალიკონტექსტისგათვალისწინებით;
3. შეფასებისასგამოყენებულიამონაცემთაშეგროვებისმრავალფეროვანიმეთოდები;
4. შეფასებახორციელდებასხვადასხვაფაქტორისგათვალისწინებით.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა ფორმებს. მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევებზე დაკვირვება. ინფორმაციას ძირითადად აგროვებს დამრიგებელი, პროექტების ხელმძღვანელები, რაც იძლევა შეფასების საერთო სურათს.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით
მასწავლებლები ცდილობენ განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში ძირითადად აკონტროლებს დამრიგებელი .
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები
მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა ხერხები.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას,რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. დასაზუსტებელია განმსაზღვრელი შეფასების პრინციპი.სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციაში იძებნება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი,რაც აზუსტებს შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს,

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- საგნობრივი კურიკულუმები,
- სადამრიგებლო გეგმები
- კათედრის ოქმები

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილადშეესაბამება

☐ ნაწილობრივშეესაბამება
☐ არშეესაბამება

2.4კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია
2.4.1 წლიურიმუშაობისშედეგადიქმნებაკურიკულუმისგადამუშავებულივერსია

1. იქმნებაკურიკულუმისგანვითარებისადამხარდაჭერისსარეკომენდაციოსაჭიროებათაპაკეტი;
2. კურიკულუმისგადამუშავებულივერსიაეფუძნებაწინარეგამოცდილებასდაითვალისწინებსმონიტორინგისადაშეფასებისშედეგებს.

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაშივკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედოგეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. სკოლა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და ამხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსურ იდავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზემოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინებით. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო პროექტი;

- კომპლექსური დავალებები (მასწავლებელთა პორტფოლიოები)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილადშეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივშეესაბამება
  - ☐ არშეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



18.10.2023 2წ.
თარიღი